

# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№7 (98) 2019


## რუსთაველის ფონდის გამარჯვებულები თსუ-დან

***შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტის გრანტით დაფინანსების 2018 წლის კონკურსში გამარჯვებული 21 პროექტიდან 10 პროექტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ეკუთვნით.***

მათგან ჰუმანიტარულ მეცნიერებებში პირველ ადგილზე გავიდა და უმაღლესი შეფასება მიიღო თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტის ირაკლი ნოდიას პროექტმა „პირველი მსოფლიო ომი ქართულ ნარატიულ წყაროებში“. ირაკლი სამაგისტრო პროგრამის, „ახალი ისტორია“ II კურსის მაგისტრანტია.

„ჩვენს მიერ საკვლევად აღებული თემა, ვფიქრობთ, მუდმივად აქტუალურთა რიცხვს მიეკუთვნება. კაცობრიობის ისტორიას არაერთი სისხლისმღვრელი ომი ახსოვს. პირველი მსოფლიო ომი (1914-1918) თავისი მასშტაბითა და მონაწილეთა რაოდენობით განსაკუთრებულია მსოფლიო ისტორიაში. იგი ნამდვილ გლობალურ კატასტროფად ითვლება, რომელმაც მსოფლიოს ბედი შეცვალა. ომმა ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროში ცვლილებები შეიტანა. შეიცვალა ცხოვრების სტილი. ადამიანების შეხედულებები, განწყობა, მსოფლმხედველობა და დიდი ხნის განმავლობაში განსაზღვრა ევროპული ცივილიზაციის მომავალი. ომის დასრულებიდან 100 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ იგი დღესაც არ კარგავს აქტუალობას.

საქართველოში პირველი მსოფლიო ომის ისტორიით დაინტერესებისა და შესწავლის კუთხით გარკვეული ტრადიცია არსებობს. აქედან გამომდინარე, ჩვენი პროექტის მიზანია ქართული პერიოდული პრესის, სხვადასხვა მემუარული ლიტერატურის, საარქივო მასალებისა და სხვა სპეციალურ დამხმარე ლიტერატურის საფუძველზე ვაჩვენოთ ფაქტების თანმიმდევრული თხრობით როგორ შუქდებოდა პირველი მსოფლიო ომი ქართულ ისტორიოგრაფიაში. რა გავლენა მოახდინა ამ ყველაფერმა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვი-

***გაგრძელება მე-2 გვ.***

## გერმანიის ბუნდესტაგის „საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის“ (IPS) გამარჯვებულები საქართველოდან



გერმანიის ბუნდესტაგის „საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის“ (IPS) 120 გამარჯვებულ სტიპენდიანტს შორის ოთხი ქართველია და ოთხივე თსუ კურსდამთავრებული.

ბუნდესტაგის მიერ სრულად დაფინანსებული სტიპენდიის ფარგლებში თსუ კურსდამთავრებულები გერმანიის პარლამენტში გერმანიის საპარლამენტო სისტემას ეცნობიან და ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში ლექციებს ესწრებიან.

თსუ იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტი მარიამ კიკვიძე იმ ოთხ ქართველ სტიპენდიანტს შორისაა, რომელიც პარლამენტისა და კომიტეტის სხდომებს ესწრება და სამხრეთ კავკასიის სამუშაო ჯგუფში მუშაობს. მან ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ ისევ თსუ-ში, თსუ-კიოლნის ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე ჩააბარა.

„სკოლის დამთავრებისთანავე ვიცოდი, რომ თსუ-ს „ჩავწერდი“ პირველ ნომრად, რადგან

***გაგრძელება მე-3 გვ.***

## ევროპიდან თსუ-ში

***25 წლის დანა კრნაჩოვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლებლად სლოვაკეთიდან ჩამოვიდა. ბაკალავრიატი ჩეხეთის რესპუბლიკაში ქალაქ ბრნოში მენდელის უნივერსიტეტში დაამთავრა ეკონომიკის მიმართულებით, შემდგომ მასარიკის უნივერსიტეტში ეკონომიკური პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამაზე ჩაირიცხა. სულ მალე საქართველოში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამით სწავლის შესაძლებლობა გაჩნდა და როგორც თვითონ ამბობს, ეს შანსი ხელიდან არ გაუშვა.***

„სლოვაკეთი საქართველოს ჰგავს, პატარა, მაგრამ ძალიან ლამაზი ქვეყანაა. საქართველოში ვარ და მაქვს განცდა, რომ სახლში ვარ.

ყოველთვის მაინტერესებდა ეს ქვეყანა. მეცადინეობის გარდა, თავისუფალ დროს ძალიან მიყვარს სირბილი, ლაშქრობებისა და ტურების მოწყობა ბუნებასა და მთებში. საქართველოში კი ამის დიდი შესაძლებლობა მაქვს და მეც ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი და მეტი მოვინახულო.

როცა მასარიკის უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე ჩავირიცხე, უკვე ვიცოდი რომ საზღვარგარეთ სასწავლებლად ისევ აუცილებლად წავიდოდი. უცხო გარემოსა და ქვეყანაში სწავლა ყოველთვის დიდი გამოცდილებაა. ბაკალავრიატის პერიოდში ერთი სემესტრი ავსტრიაში ვისწავლე და ეს იყო ჩემთვის საუკეთესო სემესტრი, რადგან ბრნოში ცოტა მოწყენილად ვგრძნობდი თავს, ვერ ვერთვებოდი ჩემთვის საინტერესო აქტივობებში, სწავლის პარალელურად, არ მქონდა საშუალება არაფორმალური განათლების ნაწილი გავმხდარიყავი, მემუშავა მოხალისედ ან მესარგებლა სტუდენტური სამსახურით.

ვფიქრობდი, რომ გერმანიაში ან იტალიაში წავიდოდი სასწავლებლად, მქონდა ასევე სამხრეთ

***გაგრძელება მე-3 გვ.***

## თსუ კურსდამთავრებული 4 უნივერსიტეტის საერთაშორისო პროგრამაზე

### „თსუ-ში კონკურენცია არასოდეს ნელდება, არ აქვს მნიშვნელობა რომელ სემესტრში ხარ...“



*ნათია ბოტკოველი*

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებული ნათია ბოტკოველი სოციოლინგვისტიკისა და მულტილინგვიზმის სამაგისტრო პროგრამაზე ჩაირიცხა. პროგრამას ერთობლივად ევროპის 4 უნივერსიტეტი: ვიტაუტას მაგნუსის უნივერსიტეტი (ლიეტუვა), იოჰანეს გუტენბერგის გუნივერსიტეტი (გერმანია), სტოკჰოლმის უნივერსიტეტი (შვედეთი) და ტარტუს უნივერსიტეტი (ესტონეთი) ახორციელებს. ნათია ამ სამაგისტრო პროგრამის ისტორიაში ერთადერთი ქართველი სტუდენტია და ის უცხოელ პროფესორებთან ერთად ჰესენის მხარეში სირიელი დევნილი ქალების ენობრივი ინტეგრაციის პრობლემებს იკვლევს.

ნათია ბაკალავრიატზე სწავლის პროცესში აქტიურად იყო ჩართული აკადემიურ ცხოვრებაში, მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, გამოაქვეყნა რამდენიმე სამეცნიერო სტატია, ყველა სემესტრში იყო სახელმწიფო სტიპენდიის მფლობელი, 2015 წელს მოიპოვა ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდია და 2018 წელს განათლების საერთაშორისო ცენტრის საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამების გამარჯვებული გახდა.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ ფილოლოგიას ჩემს კურსზე 200 სტუდენტი სწავლობდა, კონკურენციას ასევე ზრდიდნენ უფროსკურსელი სტუდენტები, რომლებიც ზოგ საგანს ჩვენთან ერთად გადიოდნენ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თსუ-ში კონკურენცია არასოდეს ნელდება, არ აქვს მნიშვნელობა რომელ სემესტრში ხარ, გარშემო ყოველთვის გყავს შენზე ბეჯითი, შენზე გონიერი, შენზე გამოცდილი ახალგაზრდები, რაც უფრო მეტი შრომის და მონდომების მოტივაციას გაძლევს. პირველ სემესტრში დამოუკიდებლად ცხოვრება, ახალი ქალაქი და სხვა მრავალი გამოწვევა მქონდა, თუმცა ჩემი წარმატებულობა ჩემმა სიმტკიცემ განაპირობა. ვცდილობდი, არ მოვდუნებულიყავი და უნივერსიტეტის რიტმისთვის ფეხი ამეწყო, პირველივე სემესტრში მონაწილეობა მივიღე საერთაშორისო კონფერენციაში, ყველა საგანი ფრიადზე დავასრულე და სემესტრის ბოლოს სახელმწიფო სტიპენდიაც მივიღე. შემდეგ სემესტრებში აღარაფერი შეცვლილა, უბრალოდ შედეგებს ვაუმჯობესებდი, ადგილი სტიპენდიის სიის თავში დავიმკვიდრე და კონფერენციებში მონაწილეობის გარდა უკვე პუბლიკაციების გამოქვეყნებასაც მივყევი ხელი“, – ამბობს ნათია.

მისი სამომავლო პროფესიის შესახებ მასწავლებლებს, გარშემომყოფებსა და ოჯახის წევრებს

***გაგრძელება მე-4 გვ.***

## სტუდენტური ექსპედიცია სამცხე-ჯავახეთში – მრავალწლიანი ტრადიცია გრძელდება



საჯარო ლექციები, ექსკურსიები და ფილმების ჩვენება – სტუდენტებს შორის ურთიერთკავშირის გამყარებისა და გაღრმავების მიზნით, ერთი თვის განმავლობაში 30-მდე თსუ სტუდენტი სამცხე-ჯავახეთში იცხოვრებს.

სტუდენტები ერთობლივად დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში მიიღებენ მონაწილეობას, ერთ თვის მანძილზე თსუ პროფესორები სამცხე-ჯავახეთში ჩავლენ და ექსპედიციის მონაწილეებს სხვადასხვა თემაზე საჯარო ლექციებს წაუკითხავენ.

მომავალი ექსპედიციისთვის 30-მდე სტუდენტმა სამზადისი ფოკადან, ფარავნის ტბიდან დაიწყო, სადაც ადაპტაციის მიზნით რამდენიმე დღის განმავლობაში კარვებით დაბანაკდნენ.სტუდენტების წინასაექსპედიციო სამზადისს თსუ რექტორის მოადგილე ნინო ოკრიბელაშვილიც შეუერთდა. რექტორის მოადგილე ფოკაში სტუდენტებს ესტუმრა, მათ გეგმებს გაეცნო და მათთან ერთად წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის დღისადმი მიძღვნილ სადღესასწაულო წირვა-ლოცვას დაესწრო.

სტუდენტური ექსპედიცია სათავეს 2001 წლიდან იღებს. წლევანდელი ექსპედიცია 14 ივლისს დაიწყება და 14 აგვისტომდე გაგრძელდება. მასში მონაწილეობის მიღება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია.

თსუ სტუდენტი სოფიო ნიშნიანიძე ჯავახეთის სტუდენტური ექსპედიციის აქტიური მონაწილეა. ჩვენთან საუბარში ჯავახეთში ექსპედიციის მნიშვნელობის შესახებ გვიყვება, 2018 წლის ექსპედიციას იხსნებს და ამბობს, რომ წელს განსაკუთრებით გაზრდილია სტუდენტების ინტერესი.

„ყველასათვის კარგადაა ცნობილი ჯავახეთის, როგორც საქართველოს უძველესი მხარის მნიშვნელობა; ექსპედიცია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევი-

**გვ. 3**

## თსუ აკადემიური საბჭოს და სენატის არჩევნების შედეგები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) არჩევნები გაიმართა.

აკადემიური საბჭოს არჩევნებში თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ალექსანდრე ცისკარიძემ გაიმარჯვა (2022 წლის 24 ოქტომბრამდე), ხოლო თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული – ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ნინო მინდაძემ (2020 წლის 8 ივლისამდე).

ცნობილია ასევე წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) არჩევნებში გამარჯვებულებიც:

1. სოფიო ხუციშვილი – თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული – ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი;
2. თამილა ჩალაძე – თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული – ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი;
3. მანანა ნიკოლაიშვილი – თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული – მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი;
4 . მარინა გურგენიშვილი – თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული – პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი;
5. ნოდარ ლომიძე – თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული – მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
6. ილია თავხელიძე – თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი.
7. ბექა დვალიშვილი – თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი;
8. სანდრო მარანელი – თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი.



### დასაქმების ფორუმი თსუ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის

28 მაისს თსუ-ში დასაქმების ფორუმი გაიმართა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს საქართველოში მოქმედმა მსხვილმა კომპანიებმა ბაზარზე არსებული რეალური ვაკანსიები შესთავაზეს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის თბილისის ბიზნესისა და ახალი ტექნოლოგიების ცენტრის ორგანიზებით გამართულ დასაქმების ფორუმში 50-ზე მეტმა ადგილობრივმა და საერთაშორისო კომპანიამ მიიღო მონაწილეობა. მათ შორის: თიბისი ბანკი, თიბისი დაზღვევა, იუსტიციის სახლი, „ნიკორა", „დომინო", სადაზღვევო კომპანია „არდი", „ჯი პი აი ჰოლდინგი", „გუდვილი", „კარფური", „Paul", „Palais de the", „Yves rocher", ბაზისბანკი, კრედო ბანკი, BDO, „ვენდისი", „დანკინი", „პსპ დაზღვევა" და სხვ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ვაკანსიების გაცნობის შემდეგ, დასაქმების სფეროში არსებული ტენდენციების შესახებ სპეციალისტების ლექციები ფრანგულ და ინგლისურ ენებზე მოისმინეს.

დავით ბაბალაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია. მისი თქმით, სტუდენტებისთვის დასაქმება ძალიან რთულია, დასაქმების ფორუმი კი ამის ძალიან კარგ შანსს იძლევა. „ძალიან მომწონს დღევანდელი ფორუმი, რადგან ეს სტუდენტებს დასაქმების საშუალებას აძლევს. მსგავსი ფორუმები ხშირად უნდა იმართებოდეს, რათა სტუდენტებს თავის გამოვლენის შანსი მიეცეთ", – აღნიშნავს სტუდენტი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტთა დასაქმების ფორუმს ყოველწლიურად ატარებს, რაც სტუდენტებს კარიერული წინსვლის რეალურ შესაძლებლობას აძლევს.



### ალბომი „ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში"

ორენოვანი ალბომის პრეზენტაცია გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ალბომში წარმოდგენილია 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში გამართული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ მასალები: საარჩევნო კანონმდებლობა; არჩევნების მომზადების პროცესი და ხარჯთაღრიცხვა; საარჩევნო სუბიექტებისა და საარჩევნო კამპანიის შესახებ ინფორმაცია; არჩევნების შედეგების ამსახველი დოკუმენტები; არჩეულ პირთა ფოტოები და ბიოგრაფიული ცნობები; 1921 წლის იანვარ-თებერვალში დაწყებული თვითმმართველობების ახალი არჩევნების სამზადისის შესახებ ინფორმაცია.

ქართულ-ინგლისური ალბომი დამოუკიდებლობის კვირეულის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ურთიერთთანამშრომლობის შედეგად მომზადდა და გამოიცა.



### ახალგაზრდა არქეოლოგთა მეთერთმეტე საერთაშორისო კონფერენცია

3 ივნისიდან ვარძიის სამონასტრო კომპლექსი უკვე მეთერთმეტედ მასპინძლობდა ახალგაზრდა არქეოლოგთა საერთაშორისო კონფერეციას, რომელშიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

კონფერენცია არქეოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებელს პიტ რივერსს ეძღვნებოდა და მასში ევროპის 15 უნივერსიტეტი მონაწილეობს, მათ შორის – ავსტრიიდან, გერმანიიდან, პოლონეთიდან, ინგლისიდან.

კონფერენციაზე მონაწილეებმა ინდივიდუალური, უახლესი სამეცნიერო კვლევები წარმოადგინეს ნეოლითიდან მოყოლებული გვიანი შუასაუკუნეების ჩათვლით. ასევე, განიხილეს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის არქეოლოგიური კვლევის საკითხები.

ვარძიის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციის მიზანია, ხელი შეუწყოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ ახალგაზრდა არქეოლოგთა შორის კონტაქტების დამყარებას, მათი კვლევების პოპულარიზაციას მსოფლიო სამეცნიერო ბაზარზე და შესაბამისად, ქართველი სტუდენტი-არქეოლოგების საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციას.



### საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარის პროექტი სამართავად თსუ-ს გადმოეცა

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ-ის სამართლის პროგრამა) და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროგრამის – „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში"/ USAID-PROLoG _ Promoting Rule of Law in Georgia Activity, თანამშრომლობით დაფუძნებული გამოცემა „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი" სამართავად თსუ იურიდიულ ფაკულტეტს გადმოეცა, ამ საკითხის თაობაზე 2019 წლის 14 ივნისს მხარეებს შორის საგანგებო მემორანდუმი გაფორმდა. კომენტარის მმართველად თსუ იურიდიული ფაკულტეტი საჯარო კონკურსის გზით შეირჩა.

მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიის ფარგლებში ფართო საზოგადოების წინაშე წარდგენილ იქნა „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარის" მე-2 წიგნის უახლესი გამოცემა და ასევე, Iძ-ის სამართლის პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით მომზადებული სასწავლო-პრაქტიკული სახელმძღვანელო „სანივთო სამართლის კაზუსების კრებული". ღონისძიებას „ბიბლუსი გალერეამ" უმასპინძლა.



### თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო თანამშრომლობას აფართოებს

თსუ-სა და ამერიკულ უნივერსიტეტს შორის კავშირების გაფართოება; მსოფლიოს მასშტაბით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ინსტიტუციური კონტაქტების დამყარება; ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის განვითარების პერსპექტივები – ეს იყო თბილისის სახლემწიფო უნივერსიტეტის ყოველწლიურ საგანმანათლებლო გამოფენაზე NAFSA 2019 მონაწილეობის მთავარი მიზანი. აღნიშნული საკითხები

**გაგრძ. მე-3 გვ.**

# რუსთაველის ფონდის გამარჯვებულები თსუ-დან

*1-ლი გვერდიდან*



*სალომე გეგეჭკორი*

თარებასა და მთლიანად საქართველოს მდგომარეობაზე. ჩვენი მოკრძალებული მიზანია, ისტორიულ მიმოქცევაში შემოვიტანოთ ახალი მასალები, რომლებიც აქამდე არ გამოყენებულა ისტორიოგრაფიაში. ამ კუთხით აქტიურად ვთანამშრომლობთ საქართველოს ეროვნულ არქივთან. რა თქმა უნდა, ამ მასალების უკრიტიკოდ მიღება არ შეიძლება და მათდამი ძალიან ფრთხილი დამოკიდებულებაა საჭირო, მაგრამ არც მათი მიწასთან გასწორება და განქიქება იქნება სწორი. ვფიქრობთ, რომ საჭიროა ზომიერი და ფრთხილი დამოკიდებულება. ისე, რომ დავიცვათ „ოქროს შუალედი". კვლევის პროცესში გამოყენებული იქნება საისტორიო მეცნიერებაში დამკვიდრებული ისტორიულ-შედარებითი, წყაროების კრიტიკული შესწავლის, ანალიზის, აღწერითი და კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდები.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი არაერთ სასარგებლო კონკურსს აცხადებს, რომლებიც ხელს უწყობენ მკვლევართა სამეცნიერო პოტენციალისა და ზოგადად მეცნიერების პოპულარიზაციას. ერთ-ერთი მათგანია მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსი, რომელიც ბევრ სხვადასხვა აქტივობასთანაა დაკავშირებული. კონკურსის პირობები საკმაოდ მრავალფეროვანია და ბევრი დოკუმენტაციის შევსება უწევს აპლიკანტს, სადაც ძალიან დეტალურად არის გაწერილი მაგისტრანტის თითოეული აქტივობა. ასე მაგალითად: კვლევის დიზაინი, მეთოდოლოგია, გეგმა-გრაფიკი, ბიუჯეტი, ინტერდისციპლინურობა და ა.შ. ეს ყველაფერი დიდ შრომასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს. გარდა სამეცნიერო-კვლევითი პროექტისა, შეფასების კრიტერიუმი სხვა კომპონენტებსაც მოიცავს. შეიძლება ეს ყველაფერი განაპირობებდეს კონკურსში მონაწილეობისა და გამარჯვების სირთულეს. ჩვენი მოკრძალებული პროექტის გამარჯვება, ალბათ, კონკურსის პირობებისა და მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებამ და თემის აქტუალურობამ განაპირობა", – ამბობს ირაკლი.

პროექტი წარმატებით მიმდინარეობს და საბოლოო სახით ჯერ არ დასრულებულა. როგორც ირაკლი გვიყვება, კვლევის პროცესს ახლავს თავისი სირთულეები. მისი პროექტის განხორციელების ეტაპები და აქტივობები შედგება შვიდი ნაწილისაგან, რომელიც მოიცავს მოსამზადებელი სამუშაოებიდან დაწყებული, სამაგისტრო ნაშრომის წარდგენით დამთავრებულ ყველა აქტივობას.

„გვაქვს მკაცრად განსაზღვრული გეგმა-გრაფიკი, რომელიც თოთოეულ თვეზე რამდენიმე აქტივობას ითვალისწინებს. პროექტის სირთულე ასევე დაკავშირებულია საარქივო დოკუმენტების მუშაობასთან, რომელიც დიდ ძალისხმევასა და ენერგიას მოითხოვს, მათი შინაარსიდან და რაოდენობიდან გამომდინარე. გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ ჩვენი თემის სამეცნიერო ხელმძღვანელს, პროფესორ, ბატონ თეიმურაზ პაპასქირს, რომელიც გვეხმარება პროექტის წარმატებით განხორციელებაში. ჩვენი დიდი სურვილია მომავალშიც გავაგრძელოთ მუშაობა ამ და სხვა საკითხებზე და ისევ ვითანამშრომლოთ რუსთაველის ფონდთან, რომელიც ამის უნიკალურ შესაძლებლობებს იძლევა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მათ. ფონდს ასევე აქვს სხვადასხვა სპეციალური საგრანტო კონკურსი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, ახალგაზრდა მეცნიერთათვის, საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებებისთვის და სხვ. ჩვენი სურვილია ამ საგრანტო კონკურსების ფარგლებში ისევ მივიღოთ მონაწილეობა", – ამბობს ირაკლი ნოდია.

რუსთაველის საგრანტო ფონდის კიდევ ერთი გამარჯვებული,რომელსაც გაგაცნობთ, სალომე გეგეჭკორია „ქართველური ენათმეცნიერების" პროგრამის (ქართველური ენები და დიალექტები) IV სემესტრის მაგისტრანტი. მისი პროექტის მიზანია ქართული და მეგრული გამოცანების თემატურ-შინაარსობრივი მონაცემთა ბაზის შექმნა. სალომე პროექტის მიზნების შესახებ გვესაუბრება და იმედოვნებს,რომ პროექტის სამომავლო შედეგებით,როგორც ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტები, ისე ფართო საზოგადოებაც ისარგებლებს.

„კონკურსში პროექტის გამარჯვება ბევრმა ფაქტორმა განაპირობა, კერძოდ: პროექტის ღირებულებამ და მნიშვნელობამ, კვლევითი თემის აქტუალობამ, კვლევის სიახლემ. პროექტში დასმული საკითხი ნაკლებად არის შესწავლილი და, ამასთანავე, საინტერესოა სხვადასხვა ჰუმანიტარული დარგის პერსპექტივიდან. ვფიქრობ, რომ მის ფარგლებში შექმნილი ქართული და მეგრული გამოცანების თემატურ-შინაარსობრივი მონაცემთა ბაზა იქნება თეორიული და პრაქტიკული ღირებულების პროდუქტი, რომლითაც ისარგებლებენ ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტები. თემატურ-შინაარსობრივად დაჯგუფებული ქართული და მეგრული გამოცანები, სამეცნიერო საზოგადოების გარდა, ორიენტირებული იქნება ფართო საზოგადოებაზეც, რადგან ამ მასალაში ასახულია ქართველური ეთნოსის ზეპირი მეხსიერება, რომლის გაცნობა და პოპულარიზაცია არის მისი შენარჩუნების გარანტი. პროექტის შედეგებს ექნება სასწავლო დანიშნულება. იგი ხელს შეუწყობს ქართული და მეგრული გამოცანების პოპულარიზაციასა და სწავლებას. ქართულ-მეგრული გამოცანების ბაზა იქნება მუდმივად შევსებადი და განახლებადი; მას შესაძლებელია დაემატოს სხვა ქართველური ენების – სვანურისა და ლაზურის – მონაცემებიც", – გვეუბნება სალომე. საუბრის პრცესში თავად გამოცანის მნიშვნელობისა და განსაკუთრებულობის შესახებ გვიყვება.

„გამოცანა ფოლკლორის ერთ-ერთი ჟანრია, რომელიც საგანს ან მოვლენას პოეტურად, ნართაულად ახასიათებს, თვით ამ ობიექტის დაუსახელებლად გამოცნობის მიზნით. თავისი სპეციფიკით, მიზანდასახულებითა და გაჩენის ქრონოლოგიით გამოცანა ერთ-ერთი უძველესია ზეპირსიტყვიერების ჟანრებს შორის. თემატურად გამოცანა უმდიდრესია. მის თემას წარმოადგენს ყველაფერი, რაც ადამიანის ირგვლივ არსებობს. რამდენადაც გამოცანა უნივერსალური მოვლენაა, იგი დასტურდება ყველა ენაში. ადამიანთა მენტალური აღქმა ზოგჯერ ერთნაირად გამოიხატება თვით არამონათესავე ენებშიც, ზოგჯერ კი, პირიქით, მონათესავე ენები ერთგვარო-ბასთან ერთად ლოკალურ განსხვავებასა და თავისებურებებს გვიჩვენებს. ენობრივი თვალსაზრისით პრობლემას სწორედ საერთოსა და განსხვავებულის გამოვლენა ქმნის როგორც მონათესავე, ასევე არამონათესავე ენებში. პრობლემის გადაჭრის გზაა გამოცანების კლასიფიცირება-კვალიფიცირება და თემატურ-შინაარსობრივი იგივეობის ან განსხვავების გამოვლენა. პროექტის აქტუალობას განსაზღვრავს ისიც, რომ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში პირველად განხორციელდება ამ ტიპის სამუშაო ორი მონათესავე ქართველური ენის – ქართულისა და მეგრულის – მასალაზე. ამგვარი მიდგომა წარმოაჩენს, ერთი მხრივ, უნივერსალურს, ხოლო, მე-ორე მხრივ, ეროვნული ენობრივი მსოფლმხედველობის მონაცემებს", – გვეუბნება სალომე.

სალომე იხსენებს, რომ რუსთაველის სამეცნიერო ფონდის კონკურსში გამარჯვება მარტივი ნამდვილად არ იყო. ერთი მხრივ, გამარჯვებას არ ელოდა, თუმცა გამარჯვების შემთხვევაში დიდ პასუხისმგებლობას გრძნობა. ყველაზე საინტერესო ნაწილი სწორედ გრანტის მოპოვების შემდეგ დაიწყო. პროექტის საველე სამუშაოები და ემპირიული მასალის შეგროვებას სალომესთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა.

„ზოგადად, ვფიქრობ, რომ არაფერი კეთდება მარტივად, განსაკუთრებით მაშინ, როცა კონკურსში შენი თანა-



*ირაკლი ნოდია*

ტოლების საუკეთესო ნაწილს ეჯიბრები. შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ერთადერთი ფონდია საქართველოში. ეს უფრო მეტად ზრდის ნებისმიერ საგრანტო კონკურსს და აძნელებს გამარჯვებას. სამაგისტრო ნაშრომების კონკურსის მეორე ეტაპზე, ტექნიკური ექსპერტიზის შემდეგ, 91 პროექტი გადავიდა; აქედან დაფინანსდა 21. ამგვარი სტატისტიკა წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს, რამდენად რთული იყო გამარჯვება.

დასაწყისში ყველაზე რთული აღმოჩნდა გადაწყვეტილების მიღება, რომ კონკურსში მეცადა ბედი. კონკურსის წესებში გარკვევა და პროექტის შედგენაც არ იყო ადვილი; საკმაოდ შრომატევადი აღმოჩნდა საბუთების შეგროვება. ბოლომდე საკუთარ თავთან მიწევდა ჭიდილი: ერთი მხრივ, გამარჯვებას ნაკლებად ველოდი, მეორე მხრივ, გამარჯვების შემთხვევაში, დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი. თუმცა, საკუთარი პროფესიის სიყვარულმა, მონდომებამ, მიზანდასახულობამ და, რაც მთავარია, ჩემი პროექტის ხელმძღვანელის, პროფესორ მაია ლომიას, თანადგომამ ეს ნაბიჯი გადამადგმევინა. ჩემთვის ეს გამარჯვება ძალიან დიდი სტიმულის მომცემი აღმოჩნდა.

პროექტი 8-თვიანია (დაიწყო მარტში) და ჯერჯერობით არ არის დასრულებული, თუმცა ძირითადი სამუშაო შესრულებულია. საკმაოდ საინტერესო და ნაყოფიერი აღმოჩნდა ველზე მუშაობა და ემპირიული მასალის შეგროვება. დასრულებულია ქართულ-მეგრული გამოცანების თემატურ-შინაარსობრივი ცხრილის შედგენაც. ამჯერად ვემზადები სამაგისტრო ნაშრომის დასაცავად, რაც ფონდის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა და, შესაბამისად, პროექტის ნაწილია", – ამბობს სალომე.

გამოცანების ჟანრობრივი შეზღუდულობა, ცუდი ამინდი და დატვირთული გრაფიკი – სალომე ამ სირთულეების მიუხედავად შუალედური შედეგებით კმაყოფილია.

„ყველზე დიდი სირთულე ექსპედიციის განხორციელებას ახლავს, რადგან მასალის მოპოვებისას ჟანრობრივად შეზღუდული ვარ; მხოლოდ გამოცანების მცოდნე ინფორმატორები მჭირდება. უნდა აღვნიშნო, რომ ამ ტიპის სირთულეებს ველოდი და ჩემს ხელმძღვანელთან ერთად შევიმუშავე მათი დაძლევის გზები. ფიზიკურად დამღლელი აღმოჩნდა მცირე ინტერვალით ზედიზედ რამდენიმე ექსპედიციაში მონაწილეობაც, განსაკუთრებით ცუდი ამინდის პირობებში; თუმცა, ინფორმატორებთან ურთიერთობა, მათი თბილი დახვედრა და სურვილი, რომ დიდი დახმარება გაეწიათ ჩემთვის, სირთულეებს მავიწყებდა. პროექტზე მუშაობა მიმდინარე წლის ოქტომბერში სრულდება, თუმცა შუალედური შედეგებიც საკმაოდ შთამბეჭდავია: ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა საქართველოსა თუ უცხოეთში და კვლევის შედეგების გაცნობა სამეცნიერო საზოგადოებისთვის.

ამჟამად ძირითად ყურადღებას სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას, შესაბამისად, პროექტის წარმატებით დასრულებას ვუთმობ. სამომავლოდ დიდი სურვილი მაქვს თსუ-ში გავიარო „ქართველური ენათმეცნიერების" სადოქტორო პროგრამაც, რაც, რა თქმა უნდა, მომცემს საშუალებას მსგავს კონკურსებში მივიღო მონაწილეობა და გამარჯვების შემთხვევაში ფონდთან ვითანამშრომლო", – გვეუბნება სალომე.

# გერმანიის ბუნდესტაგის „საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის“ (IPS) გამარჯვებულები საქართველოდან

*1-ლი გვერდიდან*

სამართლის პროგრამაზე საუკეთესო ლექტორები და ასისტენტები ასწავლიდნენ. ამასთან, ბევრი ინფორმაცია მომდიოდა თსუ-ს გაცვლით პროგრამებსა და სხვადასხვა შესაძლებლობაზე, რაც, ჩემთვის, როგორც გერმანული ენის მცოდნისთვის, ძალიან მნიშვნელოვანი იყო“, – ამბობს მარიამი. თსუ-კიოლნის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის პერიოდში მან ერთი სემესტრით კიოლნის უნივერსიტეტში ისწავლა, შემდეგ გადაწყვიტა რომ ბუნდესტაგის „საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის" კონკურსში მონაწილეობა მიეღო.



„აღნიშნული პროგრამა არის საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდია, რაც გულისხმობს 37 ქვეყნის დაახლოებით 120 სტუდენტის მიერ გერმანიის პარლამენტში პრაქტიკის გავლას. ჩემი აზრით, გამორჩეული პროგრამაა, რადგან თითოეულ სტიპენდიატს შეუძლია ერთ-ერთ დეპუტატთან იმუშაოს და, ასე ვთქვათ, თავად მიიღოს მონაწილეობა გერმანიის საპარლამენტო საქმიანობაში.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს მსგავსი ქვეყნებისთვის, რადგან გერმანიაში საპარლამენტო დემოკრატია საკმაოდ მაღალ დონეზე დგას და მსგავსი სახის გამოცდილება ნებისმიერ ადამიანს დაეხმარება სამომავლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებაში.

როდესაც პირველად წავედი გერმანიაში გაცვლითი სემესტრით, მაშინ აღმოვაჩინე, რომ როგორც ამ ორი ქვეყნის სამართალი, ისე თსუ-სა და ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის სწავლების სისტემები ძალიან ჰგავდა ერთმანეთს. ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე ლექციაზე ეს ნამდვილად დავაფიქსირე და აქედან გამომდინარე, არც გამჭირვებია გამოცდების ჩაბარება. როდესაც მეკითხებოდნენ, თუ როგორი გამოცდილება მივიღე მაშინ ბერლინში, ვამბობდი, რომ ჩემთვის, მცირე განსხვავებების გარდა, ძირითადი ასპექტები მსგავსი იყო. არ მქონდა „სხვა სამყაროში“ მოხვედრის განცდაც, რაც რა თქმა უნდა, ცხოვრების სტილს არ ეხება.

ყველაზე მთავარი კი, რაც ამ კონკურსში გამარჯვებაში დამეხმარა, იყო გერმანული ენის ცოდნა. ენის ცოდნის გარდა, საჭირო იყო გერმანული კულტურის, ისტორიისა და პოლიტიკური ცხოვრების სიღრმისეული ცოდნა. სწორედ ამ ნაწილში დამეხმარა, ჩემი აზრით, თსუ-ს ერთ-ერთი საუკეთესო სამაგისტრო პროგრამა კიოლნის უნივერსიტეტთან კოოპერაციაში. ვინაიდან, სწორედ ამ პროგრამის მეშვეობით გავიღრმავე ცოდნა გერმანულ სამართლებრივ და პოლიტიკურ სისტემებში, ვიკვლევდი აქტუალურ პოლიტიკურ პრობლემას და, შესაბამისად, მივიღე იმდენად სიღრმისეული ცოდნა, რომელიც შემდეგ მარტივად გამოვიყენე ჩემი მოტივაციის დასასაბუთებლად.

თუმცა, კონკრეტულად გასაუბრების ეტაპზე, ყველაზე მეტად დამეხმარნენ თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულები, რომლებმაც ძალიან დიდი დრო დამითმეს აღნიშნულ თემებზე სასაუბროდ და პოლიტიკური სისტემების სიღრმისეულად განსახილველად, რის წყალობითაც, გასაუბრების რამდენიმე კითხვას დამაჯერებლად ვუპასუხე“, – იხსენებს მარიამი.

„საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის“ (I Შ) ერთ-ერთი მთავარი მიზანია, სტიპენდიატებისათვის თვალსაჩინო გახადოს პოლიტიკური ცხოვრება და დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესები. მარიამი ჩვენთან საუბრისას გერმანიის პარლამენტში მისი ერთი სამუშაო დღის შესახებ გვიყვება.

"ვცხოვრობთ ბერლინში, პროგრამის თითქმის ყველა მონაწილეს ერთ საცხოვრებელში აქვს ბინა და ამიტომ, ყოველთვის რაღაცას ვაკეთებთ ერთად. ყოველდღიურად, დილის 9სთ-დან საღამოს 6 სთ-მდე დეპუტატის ოფისებში ვმუშაობთ, თუმცა სასესიო კვირებში სამუშაო დრო შეიძლება გვიან ღამემდე გაგრძელდეს, რასაც შემდგომ არასასესიო კვირებით ვაბათილებთ. ოფისში მუშაობა მოიცავს როგორც სტანდარტულ საოფისე, ისე შემოქმედებით საქმიანობასაც. კერძოდ, მე პირადად ვამზადებ სხვადასხვა კომიტეტის სხდომებს, შეხვედრებსა და გამოსვლებს დეპუტატისთვის. როგორც საშინაო, ისე საგარეო შეხვედრებისთვის. ასევე, ვწერ საინტერესო თემებზე კვლევას და ვესწრები კომიტეტისა თუ პარლამენტის სხდომებს.

ვინაიდან დეპუტატებს ხშირად იწვევენ სხვადასხვა შეხვედრასა თუ ღონისძიებაზე, ჩემი საქმიანობაც საინტერესოდ დატვირთულია ხოლმე. მიხარია, რომ შემიძლია, თითქმის ნებისმიერ ღონისძიებას დავესწრო, სადაც დეპუტატი არის მიწვეული. ამას გარდა, ჩაწერილები ვართ ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში და შეგვიძლია, კვირაში ორ ლექციას დავესწროთ. ძალიან საინტერესო ლექციებია და მიხარია, რომ მრავალფეროვანი ცოდნისა და გამოცდილების მიღების შესაძლებლობა მაქვს.

სწავლისა და მუშაობის გარდა, კვირის ბოლოს ვერთობით ხოლმე ერთად ან ცალ-ცალკე, იმის მიხედვით, ვინ რას შემოგვთავაზებს. მიუხედავად დატვირთული გრაფიკისა, გერმანიის სახელმწიფო დღესასწაულების წყალობით, ხშირად გამოგვდის გრძელი დასვენებები, რასაც სხვადასხვა ქალაქსა თუ მოგზაურობაში ვიყენებ ხოლმე“, – ამბობს მარიამი.

მარიამი და მისი მეგობარი თსუ-ელები ბერლინში ივლისის ბოლომდე დარჩებიან. საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის 2020 წლის პროგრამაზე განცხადებების შეტანა კი უკვე დაწყებულია. კონკურსის შესახებ დეტალური ინფორმაცია საქართველოში გერმანიის საელჩოს ოფიციალურ ვებ გვერდზე შეგიძლიათ იხილოთ.

# ევროპიდან თსუ-ში

*1-ლი გვერდიდან*

აფრიკაში წასვლის გეგმაც, მინდოდა ისეთ ქვეყანაში მესწავლა, რომლის შესახებაც თითქმის არაფერი ვიცოდი. თუმცა, ჩემი არჩევანი მოულოდნელად საქართველოზე შევაჩერე.



საქართველოში ერთხელ უკვე ვიყავი ნამყოფი, სამი წლის წინ და მაშინვე შემიყვარდა ეს ქვეყანა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მოგზაურობის გამოცდილება უკვე მქონდა და ვიცოდი ამ ქვეყნის ულამაზესი ლანდშაფტი და ბუნება, მაინტერესებდა როგორი იქნებოდა საქართველოს კულტურა, პოლიტიკა და რაც მთავარია, სწავლა ამ ქვეყანაში. ასევე ვიცოდი, რომ მოსახლეობის შედარებით ასაკოვანი ნაწილი რუსულად კარგად საუბრობს და ვფიქრობდი, რომ ამ მხრივ, პრაქტიკაც მექნებოდა. მოგვიანებით, უკვე გადავწყვიტე რომ ჩემი სამაგისტრო თემა სწორედ საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე დამეწერა და თემად საქართველო და ევროპეიზაციის პროცესი ავარჩიე.

სანამ აქ ჩამოვიდოდი, მქონდა მოლოდინი, რომ კეთილ და მეგობრულ ადამიანებს შევხვდებოდი აქ, მათი ნაწილი ჩემი მეგობარი გახდებოდა, მექნებოდა დრო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის დასაწერად და რაც მთავარია, წერის პროცესი არ იქნებოდა სტრესული. ველოდი ასევე თავისუფალი დროის ისე გამოყენებას, როგორც მე მიყვარს და იმ სიმშვიდეს, რაც საშუალებას მომცემდა მეფიქრა ჩემს სამომავლო გეგმებზე. რა თქმა უნდა, ყველა ჩემი მოლოდინი გამართლდა და არასდროს მინანია საქართველოში ჩამოსვლა.

სასიხარულო ამბავია ისიც, რომ ჩემი მეგობარი ბიჭი თბილისში ჩამოვიდა EVS-ის პროგრამით ჟურნალისტად. ძალიან მიხარია კიდევ რომ მიხანგრძლივდება საქართველოში ყოფნის დრო, თან, როგორც ვთქვი, სლოვაკეთი, როგორც სილამაზით, ისე ტრანსფორმაციით, ძალიან ჰგავს თქვენს ქვეყანას. ბევრ მსგავსებას ვპოულობ და ალბათ, სწორედ ამიტომ ვგრძნობ საქართველოში თავს კარგად.

ძალიან მომწონს ქართული კულტურა და ხალხი, რომელიც ჰუმანური, თბილია და მუდმივად ცდილობს დაგეხმაროს და გასიამოვნოს. თბილისში ვგრძნობ, რომ დრო შენელებულია. ალბათ ამის მიზეზი, არამარტო კულტურა, არამედ ეკონომიკური მდგომარეობაცაა. მაგალითად, ადგილობრივ მაღაზიებში არ აქვთ პრობლემა, თუ ფული დაგაკლდება, შეგიძლია მეორე დღეს მიუტანო. არ ბრაზდებიან იმაზე, თუ რაიმე დაგავიწყდა, ან თუ დააგვიანე. მეორე მხრივ, დროის მენეჯმენტი მნიშვნელოვანია და მას ძალიან დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია. იგივე შემიძლია ვთქვა საჯარო ტრანსპორტზე, ხანდახან პროფესორებიც აგვიანებენ ლექციებზე.

საქართველოში რაც განსაკუთრებით მიყვარს, სამზარეულოა. კულტურა, თუ როგორ უნდა მოამზადო და მიირთვა გემრიელი კერძები და თან საუკეთესო დრო გაატარო მეგობრებთან, ნამდვილად აქვთ ქართველებს.

მომწონს ქართველების ცნობისმოყვარეობაც, ისინი სულ სვამენ კითხვებს და აინტერესებს სხვა ქვეყნები, მათი ცხოვრების სტილი და შემდეგ ადარებენ ქართულ კულტურას. მომწონს ისიც, რომ მხოლოდ მომხმარებლური კულტურა არ აქვთ ქართველებს, ხალხი ცდილობს შეაკეთოს და ხელახლა გამოიყენოს ძველი ნივთები, მისცეს მათ ახალი სიცოცხლე და დანიშნულება. თუმცა, ძალიან მტკინვეულია, როდესაც ვერ ხედავ სეპარაციისთვის განკუთვნილ ინფრასტრუქტურას ქალაქში. მაღაზიებში კვლავ იყიდება პოლიეთილენის პარკები და ქალაქში ძალიან ბევრი მანქანა მოძრაობს, რაც საზიანოა გარემოსთვის.

ქალაქის ცხოვრებისგან განსხვავებით, ძალიან მომწონს ის, თუ როგორ ცხოვრობს ხალხი სოფლებში და განსაკუთრებით მთიან სოფლებში.

***

სამწუხაროდ, ძალიან შორს არის სტუდენტური საცხოვრებელი უნივერსიტეტისგან. დაახლოებით 1 საათი გვჭირდება რომ ქალაქის ცენტრში აღმოვჩნდეთ და კიდევ 1 საათი, რომ უკან დავბრუნდეთ. 2 საათი ტრანსპორტში დღის განმავლობაში ნამდვილად ბევრია. ასევე, ხანდახან თუ გვიანობამდე ვართ ქალაქის ცენტრში და უკან დაბრუნება გვიწევს, ტაქსით მგზავრობა ძალიან ძვირი ჯდება.

მეორე მხრივ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური საცხოვრებელი ბევრად უკეთესია ბრნოს საცხოვრებელზე. საცხოვრებელი ახალი, სუფთა და ძალიან ლამაზია. გარდა ინფრასტრუქტურისა, სასიამოვნოა ქართველ და უცხოელ სტუდენტებთან ერთად ცხოვრება. ქართველები ყოველთვის აქტიურობენ, გეგმავენ მოგზაურობებს, სადღესასწაულო სუფრებსა და ყოველთვის გვეპატიჟებიან დაბადების დღეებზე. თბილისში ჩემი განსაკუთრებულად საყვარელი ადგილი ლისის ტბაა, იქ ხშირად ვარ, დავრბივარ და სასიამოვნო დროს ვატარებ მეგობრებთან ერთად“, – გვეუბნება დანა.

დანას ხშირად ნახავთ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. მისთვის თსუ ბიბლიოთეკა ძალიან კომფორტული ადგილია და ყოველდღიურობის მნიშვნელოვანი ნაწილი. სამაგისტრო ნაშრომში თვისებრივ კვლევის მეთოდებს იყენებს, რაც ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარებას ითვალისწინებს. როგორც კი დაასრულებს სამაგისტრო ნაშრომის წერას ზაფხულში დიდი მოგზაურობისთვის ემზადება. ლოკაცია რა თქმა უნდა, საქართველოს მთიანი რეგიონები იქნება.

# სტუდენტური ექსპედიცია სამცხე-ჯავახეთში – მრავალწლიანი ტრადიცია გრძელდება

*1-ლი გვერდიდან*

თა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანადგომით ხორციელდება. ჩვენი უნივერსიტეტი მეცხრამეტე წელია აქტიურად უდგას მხარში ექსპედიციას, როგორც ფინანსურად ასევე მორალურად. ექსპედიცია საგანმანათლებლო-კულტურულ-კვლევითი ხასიათისაა და გულისხმობს ჯავახეთის გაცნობას: ისტორიული, გეოგრაფიული, ეთნოლოგიური, ფოლკლორული თვალსაზრისით, ტრადიციებისა და ადათ-წესების, ორი ერის თანაცხოვრების ორსაუკუნოვანი ისტორიის და გამოცდილების კვლევით და დაკვირვებით, ეთნიკური უმცირესობის ინტეგრაციისათვის ხელის შეწყობის მიზნით.

პატრიარქი ბრძანებს: “ჩვენ ვცხოვრობთ მეტად რთულ დროს,როცა ბოროტება ებრძვის სიკეთეს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ სიკეთის მხარეს ვიყოთ, სიკეთე შევიყვაროთ.“ ვფიქრობთ, ეს და მრავალი მსგავსი პროექტი, სწორედ რომ სიკეთეს ემსახურება.ექსპედიციაში, პირველივე წლიდან დღემდე მოყოლებული ჩართულნი არიან თსუ-ს სტუდენტები. ყოველწლიურად იზრდება დაინტერესება ექსპედიციის მიმართ და მეტი და მეტი სტუდენტი ცდილობს ჩართვას, არის შემთხვევა როდესაც გვთხოვენ თუნდაც ერთი კვირით შემოგვიერთდნენ. ჩვენ კი – უარს არავის ვეუბნებით.“, – ამბობს სოფიო.

ექსპედიციაში მონაწილეობის მიღება სამივე საფეხურის სტუდენტებს შეუძლიათ. სოფიოს თქმით, უპირატესობა ენიჭებათ იმ სტუდენტებს, რომლებიც ესწრებიან ექსპედიციასთან დაკავშირებულ წინასწარ შეხვედრებს. აუცილებელია ყველა მონაწილემ გაიაროს პირველადი სამედიცინო დახმარების კურსი. სოფიო 2018 წლის ექპსედიციას იხსენებს.

“2018 წელს მოწყობილი ექსპედიციის ფარგლებში ვიმოგზაურეთ ჯავახეთის სოფლებში, გავეცანით ადგილობრივ მოსახლეობას, დაბინავებულები ვიყავით მასპინძელ ოჯახებში, რიგ შემთხვევაში კი სკოლის შენობაში. სოფლის მოსახლეობასთან ერთად ვმართავდით კინოჩვენებებს და შემდგომ განვიხილავდით, მხატვრულ ფილმებთან ერთად შერჩეული იყო დოკუმენტურ-საგანმანათლებლო ფილმები. ვაწყობდით სპორტულ აქტივობებს, ვმართავდით პოეზიის საღამოებს, ჩატარდა ხალხური ცეკვის და სიმღერის კონცერტი. თითქმის ყველა სოფელში,სადაც სტუდენტები იმყოფებოდნენ, ადგილობრივ ახალგაზრდებს უმეგობრდებოდნენ, იმართებოდა დისკუსიები და აზრთა გაზიარება. ექსპედიციის, განათლებისა და კულტურის მიმართულებით გამართულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ახალგაზრდებთან ხშირ კომუნიკაციას,რაც მათი სოციალური ინტეგრაციის წინაპირობაა. ექსპედიცია,განსაკუთრებით საინტერესო და დასამახსოვრებელი იყო იმ ადამიანებისთვის ვინც პირველად იყო ჯავახეთში.აქაური ბუნება მოხიბლულს ტოვებს ყველა სტუმარს,თავის სიდიადით და მშვენიერებით. თითოეული დღე თავისებურად განსხვავეული და დასამახსოვრებებლი იყო.

პროექტი რომელშიც სტუდენტები არიან ჩართულნი, ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რეგიონში ტარდება და უცვლელად და საინტერესოდ ხორციელდება უკვე განსაკუთრებულია. ექსპედიციის შესახებ ციებ-ცხელებას ადრიანად ვიწყებთ, ფაქტობრივად მეორე სემესტრის დასაწყისიდან. მაგ დროისათვის ეგზავნებათ სტუდენტებს მოკლე ტექსტური შეტყობინებები სტუდენტის პორტალზე. შემდეგ კი უკვე ვიწყებთ შეხვედრების ჩატარებას სტუდენტებთან,რათა მათ მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია ექსპედიციასთან დაკავშირებით. აქამდე ვინც არ იცოდა ექსპედიციის შესახებ და სურვილი გაუჩნდა დაგვიმეგობრდეს, სიამოვნებით მივიღებთ ჩვენს დიდ ოჯახში“, – ამბობს სოფიო ნიშნიანიძე.

*მე-2 გვერდიდან*

თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და თსუ ხარისხის განვითარების სამსახურის უფროსმა ირმა გრძელიძემ აშშ-ში საქართველოს ელჩთან დავით ბაქრაძესთან და ფრანგული უნივერსიტეტის ლიონ 2-ის ვიცე-პრეზიდენტთან ჯეიმს ვოლკერთან და სხვა შეხვედრებზეც განიხილეს.

გამოფენა NAFSA 2019, რომელშიც 100-ზე მეტი ქვეყნიდან 4000-მდე მონაწილეა წარმოდგენილი, 28 მაისს გაიხსნა და 31 მაისამდე გაგრძელდება. გამოფენაში Study in Georgia-ს ფარგლებში 5-მა ქართულმა უნივერსიტეტმა მიიღო მონაწილეობა.

### *თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და გდანსკის უნივერსიტეტს შორის*

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გდანსკის (პოლონეთი) უნიევრსიტეტს შორის ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს. შეთანხმებას ხელი მოაწერეს თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და გდანსკის უნივერსიტეტის რექტორმა პიოტრ გვიზდალამ. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ქართულ და პოლონურ უნივერსიტეტებს შორის ურთიერთობები და მათი მომავალი განვითარება სამეცნიერო საქმიანობის კუთხით.

### *შეხვედრა ისრაელის ელჩთან*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, გიორგი შარვაშიძე საქართველოში ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში, შაბთაი ცურისა და იაკოვ ოფირს შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ისრაელის უნივერსიტეტებსა და თსუ შორის არსებული ურთიერთობების გაღრმავებასა და ახალი კავშირების დამყარებას. ასევე თსუ-ში არსებული ისრაელის ცენტრის მოღვაწეობის ასპარეზის გაფართოებას.



### *სანდიეგოს უნივერსიტეტის პროგრამების გამოშვება*

საქართველოში მოქმედი აშშ-ის სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამები 56-მა სტუდენტმა დაამთავრა, აქედან უმეტესობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია.

საქართველოში აშშ-ის სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა პირველ გამოსაშვებ ცერემონიაზე სტუდენტებს სხვადასხვა დარგში საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე ქართულ-ამერიკული საბაკალავრო დიპლომები გადაეცათ: კომპიუტერული ინჟინერია; ელექტრული ინჟინერია; ქიმია/ბიოქიმია;

აშშ-ის სან დიეგოს სახელმწიფო პროგრამებზე საქართველოს სამ უნივერისტეტში (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) 550 სტუდენტი სწავლობს, აქედან 470 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია.

### *გერმანიის სასტიპენდიო პროგრამებიდან უმეტესობა თსუ-ში განხორციელდება*

2019-2022 წლებში Erasmus+ გაცვლითი პროგრამების დასაფინანსებლად აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყნისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტიდან გერმანიის მთავრობა 28.5% საქართველოსთან თანამშრომლობისთვის გამოყოფს.

ამ პერიოდში გერმანიის 13 უნივერსიტეტთან საქართველოს 9 უნივერსიტეტს ექნება სასტიპენდიო პროგრამები. მათ შორის ყველაზე მეტი – 9 სასტიპენდიო პროგრამა თსუ-ს ექნება.

*გაგრძ. მე-4 გვ.*



### თსუ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის პროექტს „კრიტიკული ენების სასტიპენდიო პროგრამა“ მასპინძლობს

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2018 წლიდან მასპინძლობს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პროექტს „კრიტიკული ენების პროგრამა“. პროექტს ახორციელებს ორგანიზაცია „ამერიკული საბჭოები საერთაშორისო განათლებისთვის“ და ადგილობრივი მასპინძელი ორგანიზაციის შერჩევა ხდება სწავლებისა და კომპლექსური პროექტების მართვის გამოცდილების, ასევე ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების გათვალისწინებით.

თსუ-მ წელსაც მიიღო ამერიკელი სტუდენტები, რომელთათვისაც პროგრამით გათვალისწინებულია თსუ-ს აკადემიური და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებით პროექტის დამფინანსებელი ორგანიზაციის მიერ შერჩეული სამიზნე ჯგუფისთვის რუსული ენის ინტენსიური კურსის ჩატარება და კულტურული, შემეცნებითი და სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება საქართველოს ისტორიის, კულტურის, პოლიტიკური და ეკონომიკური წყობის გაცნობის მიზნით.

ამერიკელ სტუდენტებს თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ნუნუ ოვსიანიკოვა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ნანა გაფრინდაშვილი მიესალმნენ და გააცნეს ის შესაძლებლობები, რომელსაც ქართული მხარე სთავაზობს მათ. თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელის თეა გერგედავას თქმით, „პროექტი ითვალისწინებს მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტში 15 უცხო ენის შესწავლას ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შერჩეული სტუდენტთა ჯგუფისათვის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გრძელვადიანი შერჩევის შედეგად შეირჩა ერთ-ერთ ასეთ უნივერსიტეტად და უკვე მეორე წელია ჩვენ ვმასპინძლობთ ამერიკელი სტუდენტების ჯგუფს ზაფხულის განმავლობაში. პროგრამა მოიცავს როგორც ენის სწავლებას, აგრეთვე საჯარო ლექციებს, კულტურულ და არქეოლოგიურ ღონისძიებებს, რითაც ბენეფიციარებს საშუალება აქვსთ გაიცნონ როგორც საქართველოს ისტორია, კულტურა, ეკონომიკა ასევე ის არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლები“.

„ესაა კრიტიკული ენების სასტიპენდიო პროგრამა, რომელიც ორგანიზებულია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პროექტს იმ ენებისთვის, რომელიც მნიშვნელოვანი აშშ-სათვის. საქართველო ყოველთვის ღიაა ამერიკული პროგრამებისათვის. კავკასია ძალიან მნიშვნელოვანი ტერიტორიაა რუსულად მოსაუბრე ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან. საქართველოში ჩამოსვლით ჩვენ საშუალება მოგვეცა რომ გვეხილა სხვა ნარატივი, დაგვენახა რუსეთი ყოფილი საბჭოთა ქვეყნის თვალით, ქართველების თვალით. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია, აქ ჩამოდიან სტუდენტები იმისათვის რომ ისწავლონ რუსული ენა. მათი უმეტესობა აპირებს გააგრძელოს კარიერა დიპლომატიაში და იქნებიან გავლენიანი ადამიანები, რომლებიც გარკვეულ ზეგავლენას მოახდენენ მსოფლიოს ამ ნაწილის ცხოვრებაზე“, – განაცხადა ამერიკული საბჭოები საერთაშორისო განათლებისთვის აღმასრულებელმა დირექტორმა ტიმოთი ბლაუველტმა.

რვაკვირიანი პროგრამა შედგებოდა შემდეგი აქტივობებისგან: მრავალსაუკუნოვანი ქართული ფოლკლორის გაცნობის მიზნით მასტერ-კლასის ჩატარება თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში; საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებზე ლექციის წაკითხვა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიურ სასწავლო და კვლევით ინსტიტუტში; საქართველოს ეროვნულ მუზეუმში თავმოყრილი მრავალფეროვანი საგანძურის შესახებ ლექციის წაკითხვა და სიმონ ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმის დათვალიერება; ქართული ცეკვის მასტერ – კლასის ჩატარება თსუ-ში; გრაკლიან გორაზე მიმდინარე არქეოლოგიური გათხრებში მონაწილეობა და მიმდებარე მუზეუმის დათვალიერება და სხვა მრავალი ღონისძიება. პროექტის ფარგლებში მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ პროექტის მასპინძლად შერჩეულ სასწავლო დაწესებულებებში ისწავლება ის უცხო ენები, რომლებიც მიჩნეულია აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოებისა და ეკონომიკური კეთილდღობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონედ, ასეთებია: აზერბაიჯანული, ბანგლა, ჰინდი, ინდონეზიური, კორეული, პუნჯაბი, სუაჰილი, თურქული, ურდუ, არაბული, სპარსული, პორტუგალიური, ჩინური, იაპონური და რუსული ენები. პროგრამის ბენეფიციარების შერჩევა ხდება ასეულობით აპლიკანტიდან რამდენიმე ეტაპიანი კონკურსის საფუძველზე, რომელსაც ორგანიზაციის „ამერიკული საბჭოები საერთაშორისო განათლებისთვის“ ვაშინგტონის ცენტრალური ოფისი ახორციელებს.



### კონფერენცია: „ხელოვნური საპერფუზიო აპარატები და ორგანოთა „ინ სიტუ“ კონსერვაცია“

თსუ მორფოლოგიის ინსტიტუტში სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „ხელოვნური საპერფუზიო აპარატები და ორგანოთა „in situ“ კონსერვაცია“ გაიმართა. კონფერენცია შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის „საპერფუზიო სისტემით ორგანოთა „in situ“ კონსერვაციის ახალი მეთოდი (ექსპერიმენტული კვლევა) ფარგლებში ჩატარდა.



### პორტუგალიური ენის კვირეული

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა პორტუგალიური ენის კვირეული. თსუ-კამოეშის პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრი და ბრაზილიის საელჩო საქართველოში, 10 ივნისიდან 14 ივნისის ჩათვლით, აღნიშნავს პორტუგალიური ენის კვირეულს, რომლის ფარგლებში გაიმართება კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებები. კვირეულის ფარგლებში გაიმართება პორტუგალიური და ბრაზილიური ფილმების ჩვენება, მოეწყობა გამოფენები და მუსიკალური საღამოები.

### რეზიდენტთა კლინიკური კონფერენცია „მედიცინა კლასიკურ საუნივერსიტეტო განათლებაში“

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ორგანიზებით გაიმართა რეზიდენტთა კლინიკური კონფერენცია „მედიცინა კლასიკურ საუნივერსიტეტო განათლებაში“.

კონფერენცია წარიმართა რამდენიმე სესიად: უროლოგია, მეანობა-გინეკოლოგია, სტომატოლოგია, დერმატო-ვენეროლოგია, ინფექციური სნეულებები. გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, თსუ რექტორის მოადგილე ნინო ოკრიბელაშვილი, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა ბოხუა, თსუ პროფესორები და სტუდენტები.

ღონისძიებაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ქირურგიულ დისციპლინათა სწავლებაში შეტანილი წვლილისათვის, საქართველოში კომბუსტიოლოგიის დამფუძნებელი, საქართველოში დამწვრობის ცენტრის და აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის მიმართულების ერთ-ერთი დამაარსებელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბესიკ იაშვილი დაჯილდოვდა უნივერსიტეტის საიუბილეო მედლით.

# თსუ კურსდამთავრებული 4 უნივერსიტეტის საერთაშორისო პროგრამაზე

## „თსუ-ში კონკურენცია არასოდეს ნელდება, არ აქვს მნიშვნელობა რომელ სემესტრში ხარ...“

*1-ლი გვერდიდან*

განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ.

„ზოგი ამბობდა, ლაპარაკი უყვარს და ჟურნალისტი გამოვაო, ზოგმა – ნიჭიერი ბავშვია, კარგი ექიმი დადგებოდაო, მამას იურისტად წარმოვედგინე, დედა უფრო საერთაშორისო ურთიერთობებისკენ იხრებოდა. ამ მოლოდინების ფონზე ყველასთვის წარმოუდგენელი გადაწყვეტილება მივიღე – ქართული ფილოლოგია, რადგან ვფიქრობდი, და ახლა უკვე დარწმუნებულიც ვარ, რომ ყველა ადამიანმა პროფესიად ის საქმე უნდა აირჩიოს, რომელიც აბედნიერებს“, – ამბობს ნათია და მისი საზღვარგარეთ სწავლისა და ცხოვრების შესახებ გვიყვება. როგორც თვითონ ამბობს, სწავლის გარდა, თავისუფალი დროის გატარების ყველაზე პოპულარული საშუალება ძილია.



„საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების მსურველებს მაღალი აკადემიური მოსწრების გარდა, დიდი ნებისყოფაც სჭირდებათ, რადგან გამკლავება უწევთ უზარმაზარ ბიუროკრატიასთან. აღარც მახსოვს რამდენი ოფიციალური წერილის დაწერა მიწევდა ყოველ დღე და მიუხედავად იმისა, რომ უკვე მეორე სემეტრი იწურება, კვლავაც უამრავი ოფიციალური დოკუმენტის მომზადება მიწევს. ამ თვალსაზრისით, თსუ უფრო შეკრული მექანიზმია, მით უმეტეს, ევროპული გამოცდილების შემდეგ დედა-უნივერსიტეტის დეპარტამენტებსა და ადმინისტრაციულ ერთეულებს ვერაფრით დავემდურები.

ძალიან უცნაური იყო, როცა აღმოვაჩინე, რომ აქ ყველა სწავლობს. ვიცნობ სტუდენტებს, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობენ, რათა წარმატებას მიაღწიონ და ასეთი სტუდენტები უნივერსიტეტში აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ, შესაბამისად, სტანდარტი მაღალია. აქ დაბალი ნიშნის მიღება, როგორც წესი, მეტყველებს იმაზე, რომ გაკლია გამოცდილება და არა – სიბეჯითე. სწავლების ამგვარი ტემპი ბევრ მსხვერპლს მოითხოვს, პირველი მსხვერპლი სოციალურობაა. სტუდენტები იმდენად ფოკუსირებული არიან სწავლაზე და პროცესი იმდენად დამღლელია, რომ როგორც წესი, თავისუფალი დროის გატარების ყველაზე პოპულარული საშუალება არც მეტი, არც ნაკლები, ძილია.

ძირითადი საგნების გარდა, გვაქვს ენის კლასებიც, რომლებიც ჩემნაირი „იღბლიანებისთვის“ დილის 7-ის ნახევარზე იწყება. ყველაზე რთული ზუსტად ეს დღეებია, სულ უძინარი და დაძაბული ვარ, რადგან ათ წუთზე მეტი დაგვიანება კლასის გაცდენას ნიშნავს, კლასის ორჯერ გაცდენა კი – საგანში ჩაჭრას. ენის კლასების შემდეგ ერთსაათიან შუალედს, როგორც წესი, ბიბლიოთეკაში ვატარებ ან კურსელებს ვხვდები ჯგუფურ პროექტებზე სამსჯელოდ. შემდეგ ისევ ლექციები იწყება და საღამოს ხუთამდე გრძელდება.

გარდა პროფესიონალი მასწავლებლებისა, ძალიან მომწონს სწავლების მეთოდებიც, არავინ ითხოვს თეორიების დაზეპირებას, არც სტანდარტული გამოცდები გვაქვს, ვამზადებთ წერით დავალებებს ყველა სემინარისთვის, რაც აუმჯობესებს ჩვენი სამეცნიერო აკადემიური წერის უნარებს. ყველა საგანში კვირაში ექვსი განსხვავებული ნაშრომის შესრულება გვიწევს. დავალება შეიძლება იყოს რეცენზიის მომზადება ახლადგამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიისთვის, სქოლიოს შედგენა, ნაშრომის მეთოდოლოგიის განხილვა, სტატიების კრიტიკული დისკურს-ანალიზი და ასე შემდეგ. ევროპაში ძალიან პოპულარულია ჯგუფური დავალებები, ამჟამად, ჩემი ჯგუფის წევრებთან ერთად ვმუშაობ სოციოლინგვისტური კითხვარის შედგენაზე, რომლის საშუალებითაც სირიელი დევნილი ქალების ენობრივი ინტეგრაციის პრობლემებს გამოვიკვლევთ ჰესენის მხარეში“, – ამბობს ნათია.

როგორც გვიყვება უნივერსიტეტში აკადემიურ ცხოვრებაში ჩართულობა ნორმაა, იხსენებს თბილისში ცხოვრების პირველ წლებში ლექციებზე აქტიურობასთან დაკავშირებით კურსელების რეპლიკებს.

„კარგ ტონად არ ითვლებოდა აქტიურობა. არაერთხელ უკითხავთ ჩემთვის „ნეტა, არ გეზარება?“ „მოცლილი ხარ?“ ევროპაში ამ მხრივ სრულიად განსხვავებული დამოკიდებულებაა, აქ ნორმაა უნივერსიტეტის აკადემიურ ცხოვრებაში ჩართულობა და ლექტორებიც მზად არიან თავიანთი დრო და ენერგია ამ კუთხით დახარჯონ: წაიკითხონ საკონფერენციო თეზისები, დაგინიშნონ კონსულტაციები, გიშუამდგომლონ საერთაშორისო ჟურნალებში სამეცნიერო სტატიის გამოსაქვეყნებლად.

რადგან ლექტორები ვახსენე, თსუ-ს პროფესორებზეც ვიტყვი, ამ შემთხვევაში ძალიან რთულია განაზოგადო, რადგან მყავდნენ ლექტორებიც, რომელთათვის უნივერსიტეტი მხოლოდ სამსახური, მოვალეობა ან ხელფასი იყო. ვფიქრობ, ჩვენს უნივერსიტეტს, მათ შორის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, რომელიც ყველაზე ახლობელია ჩემთვის, ახალი ძალა, ახალი „სისხლი“ სჭირდება, როგორმე უნდა შევცვალოთ პროფესია მობეზრებულ, სტუდენტების გაუნათლებლობაზე მოწუწუნე ლექტორებს და ახალგაზრდა პროფესიონალებს მივცეთ ასპარეზი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან ბევრი წარმატებული კურსდამთავრებული სიამოვნებით დაუბრუნდება დედა-უნივერსიტეტს და ყველაფერს გააკეთებს მის გასაძლიერებლად“, – გვეუბნება ნათია.

მომავალში დოქტორანტურაში სწავლას საქართველოში გეგმავს და სტუდენტებს, რომლებსაც საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება სურთ, რჩევებს აძლევს.

„ნიჭიერ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც საკუთარ თავს სამშობლოსა და ახლობლების მუდმივი მონატრებისთვის გაიმეტებენ და საზღვარგარეთ გადაწყვეტენ სწავლის გაგრძელებას, მხოლოდ სამი რჩევა მაქვს, რაც, ვფიქრობ, დაეხმარებათ ოცნება რეალობად აქციონ : აუცილებელია კარგად ჩამოყალიბდინ, რისი სწავლა სურთ – სწავლა რთულია, იმ პროფესიის არჩევა, რომელიც არ გაინტერესებთ, ამ სირთულეს მუდმივ დეპრესიად გქცევთ; მეორე, თუ პროგრამის აღწერაში რამე გაუგებარია, იკითხეთ – უნივერსიტეტებს ჰყავთ პროგრამების კოორდინატორი, რომლის მთავარი მოვალეობა თქვენი დაკვალიანებაა და ბოლოს, არასოდეს დანებდეთ სირთულეებს!

დიდი სურვილი მაქვს ამ აქტიური სამაგისტრო საფეხურის შემდეგ პირდაპირ დოქტორანტურაში გავაგრძელო სწავლა, რადგან ერთწლიანი წყვეტაც კი თავის დაღს ასვამს აკადემიური ცხოვრების ხარისხსა და სტუდენტის პროდუქტიულობას. დოქტურანტურის დასრულების შემდეგ კი თავს უკვე საქართველოში ვხედავ, სადაც, ვიმედოვნებ, საშუალება მომეცემა ჩემი ცოდნა ჩვენს ქვეყანას მოვახმარო“, – ამბობს ნათია ბოტკოველი.

# თსუ ფუტსალის ლიგის თასის მფლობელია




ფუტსალის ლიგის თასის სადებიუტო გათამაშების გამარჯვებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა. ფინალურ დაპირსპირებაში ერთმანეთს ორი უმაღლესი ლიგის გუნდი, "თსუ" და "თელასი" შეხვდნენ. „ძირითადი დრო ფრედ: 1:1 დასრულდა. გამარჯვებული პენალტების სერიაში გამოვლინდა. სახელმწიფო უნივერსიტეტი მხრიდან ლევან კობაიძემ და გიორგი ჭოხონელიძემ პენალტი ზუსტად შეასრულეს. გიორგი სოზაშვილმა ერთი ბურთი გაქვითა, მაგრამ "თსუ"-ს მეკარემ, ალი ასლანმა, ორი დარტყმის მოგერიება შეძლო და "თსუ"-მ საბოლოოდ 3:2 იმარჯვა.

ეს ერთადერთი წარმატება არაა, რომელიც თსუ ფუტსალის ფეხბურთელებმა მოიპოვეს. ფუტსალის ლიგა 2-ის სადებიუტო სეზონის ტიტული თსუ 2-მა მოიპოვა! ტურნირის გამარჯვებული ფინალში ილიაუნის დაუპირისპირდა. „საუნივერსიტეტო დერბი“ ძალიან დაძაბული და სანახაობრივი გამოდგა. მატჩის პირველ ნახევარში გიორგი ღავთაძემ „თსუ 2“ დააწინაურა. თამაშის განახლებიდან მეშვიდე წუთზე კი ირაკლი ლატარიამ წონასწორობა აღადგინა. გოლის შემდეგ მთელი მეორე ტაიმი გუნდებმა ჯარიმების ლიმიტში გაატარეს. ძირითადი დრო ფრედ 1:1 დასრულდა. დამატებით ორ ხუთწუთიან ტაიმში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა და თასის მფლობელის ვინაობა „საფეხბურთო ლატარეაში“ გაირკვა. გიორგი ვეშაპიძემ ერთი დარტყმის მოგერიება შეძლო, პენალტების სერია 3:2 დამთავრდა და „თსუ 2“-მა პირველობა მოიპოვა.

გიორგი ვეშაპიძე, „თსუ 2“: „პირველ რიგში, ტურნირის ორგანიზატორებს მინდა მადლობა გადავუხადო. როგორც მაყურებელმა იხილა, ძალიან დაძაბული და დრამატული ფინალი გამოვიდა, რაც მეტოქის დამსახურებაცაა. ილიაუნის მიმდინარე სეზონში მესამედ შევხვდით და ყველა დაპირისპირებაში ვიმარჯვეთ, რასაც ალბათ მეტი მონდომების ხარჯზე ვახერხებთ. კმაყოფილი ვარ მთელი სეზონით და ფინალში ჩვენი თამაშით. ბოლომდე ვიბრძოლეთ, რამაც შედეგი გამოიღო და ჩემპიონები გავხდით“. აღსანიშნავია, რომ ფუტსალის ლიგა 2-ის პირველ ჩემპიონს რეგულარული ეტაპიდან მოყოლებული მხოლოდ ერთი წაგება აქვს.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებგვერდი: www.tsu.edu.ge